№OUT080920/01

9 სექტემბერი, 2020 წ.

განმცხადებელი: შპს „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა“ (ს/კ: 404413005)
მის: ისნის რაიონი, ავლიპ ზურაბაშვილის ქუჩა №1 „გ“
ტელ: 558-000-550

მომწვევი ორგანიზაციის შუამდგომლობის წერილი

მოგახსენებთ, რომ შპს „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა“ აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის ქვეყნებში მომუშავე სამედიცინო პერსონალთან და სამედიცინო დაწესებულებებთან, რის ფარგლებშიც კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩვენს მიერ არაერთი თანამშრომელი იქნა გაგზავნილი უცხოეთის ქვეყნებში და ასევე არაერთი უცხო ქვეყნის წამყვანი სპეციალისტი იქნა მოწვეული საქართველოში.

აღნიშნული თანამშრომლობის გაღრმავების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისათვის მაღალკვალიფიციური კონსულტაციების ჩატარებისა და ბარიატრიული და რეკონსტრუქციული ქირურგიის მიმართულებით შესაბამისი ოპერაციების წარმოების მიზნით, თქვენ, - გერმანიიდან ზოგადი ქირურგს და ბარიატრიული და რეკონსტრუქციული ქირურგს **კონრად კარჩს,** გიწვევთ და მოგმართავთ თხოვნით 2020 წლის 20 სექტემბერს ჩამობრძანდეთ საქართველოში და 2020 წლის 30 ოქტომბრის თვის ჩათვლით შპს „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკისა“ და მის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახმარებით, გაუწიოთ საქართველოს მოქალაქეებს ბარიატრიული და რეკონსტრუქციული ქირურგიის მიმართულებით მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თქვენი ვიზიტი მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც მიიღებენ მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას, ასევე სამედიცინო პერსონალისთვისაც, რომელთათვისაც კვალიფიკაციის ამაღლების, თანამედროვე მიდგომებისა და ტენდენციების გაცნობის მიზნით, ჩატარდება არაერთი შეხვედრა და კონფერენცია.

გვინდა ასევე დავადასტუროთ, რომ ჩვენ, როგორც თქვენი მომწვევი ორგანიზაცია, თქვენთან ერთად პასუხისმგებლობას ვიღებთ, საზღვრის კვეთისა და საქართველოში ყოფნის პერიოდში, მოქმედი ინდივიდუალური პირობებისა და წესების შესრულებაზე, მათ შორის მსოფლიოში გამოცხადებელი პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში ვუზურნველყოფთ სადიაგნოსტიკო ტესტირებასთან, კარანტინში განთავსებასთან და/ან COVID-19-ის მკურნალობასთან დაკავშირებული შესაძლო ხარჯის ანაზღაურებას.

პატივისცემით,

დირექტორი:

/გელა გოგიშვილი/